

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2019 წელი, 22 მარტი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ:კომისიის წევრები :ნ.ორაგველიძე , ჯ.თავართქილაძე, გ.თოიძე, თ.ტულუში, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე, ლ.ნინიძე, ვ.ნიჭარაძე, ვ.ჩხაიძე, ვლ.დლონტი, დ.ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამხარეო ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსული კორესპოდენციის განხილვის შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამხარეო ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსულ კორესპოდენციაზე, კერძოდ, სოფელ შემოქმედში გონებისკარის უბანში, ჯახუას ღელის ტერიტორიაზე ოქროს მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის შედეგების შესახებ და მოიწონეს გურიის მხარის რწმუნებულთან გასაგზავნი წერილი.

იმსჯელეს შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ გომის ტერიტორიაზე სიენიტის მოპოვების ლიცენზიის თაობაზე. ასევე, სამხარეო ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილ წერილზე და აუცილებლად მიიჩნიეს წინასწარ მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვა.

გადაწყვეტის:

1. მოწონებულ იქნას სოფელ შემოქმედში-გონებისკარის უბანში, ჯახუას დელის ტერიტორიაზე ოქროს მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის შედეგების თაობაზე სამხარეო ადმინისტრაციაში გასაგზავნი წერილი.
2. სოფელ გომის ტერიტორიაზე სიენიტის მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით მოეწყოს შეხვედრა სოფლის მოსახლეობასთან.

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

